# სამშობლო

წ. I 1915 წ. კვირა 24 მაისი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 86 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 86


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.


ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.


რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ელექტრო თეატრი „რადიუმი“

საზაფხულო შენობა.

ორშაბათიდან, 25 მაისიდან, არაჩვეულებრივი პროგრამა

კამორრა

დრამა 3 ნაწილათ.

მეორე სერია წარმოადგენს ერთ მთლიანს და ვისაც პირველი სერია არ უნახავს, მეორე სერია პირველ სერიისაგან დამოუკიდებლათ შეუძლია ნახოს.

1 ნაწ. ოქროს კობრო, 2 ნაწ. მოულოდნელი ქარიშხალი, 3 ნაწ. საიდუმლო ჰაერში.

პატე ჟურნალი

სეზონის სენსაცია! მეორე სერია.

სხვისი ცოლების მოყვარული

კომიკური სურათი.

დასაწყისი საღამოს შვიდ საათზე.

თუ ცუდი ტაროსი იქნა, სეანსები საზამთრო შენობაში იქნება გადატანილი.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაოდიდ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, საცაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამობით. თ.

დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი

ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძნობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი. 15—9

ექიმი ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კაბინეტი მასსაჟის და საექიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი ორთქლის ვანა, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. აგრეთვე ჟუცრი ყვავილს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

ბებია მ. მ. კოხრეიძე

უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


სევერიან და იასონ კოსტანტინეს ძენი ბიბილაშვილები, ალექსანდრა კოსტანტინეს ასული გოგოლაშვილისა, ქვრივი ეფროსინე ზურაბის ასული კუჭაიძისა, მაკრინე ზურაბის ასული მგალობლიშვილისა, ევპრაქსი ზურაბის ასული ავალიანისა, ეკატერინე ბატას ასული ბიბილაშვილისა და იზმაილ პავლეს ძე გოგოლაშვილი აუწყებენ გადაცვალებას პირველი, მეორე და მესამე ძვირფასი დედის, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დის, მეშვიდე დედამთილის და მერვე სიდედრის

**ნატალია ზურაბის ასულის ბიბილაშვილისა.**

დასაფლავების დღე 24 ამა მაისს, დღით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ სახლიდან ქ. ქუთაისში, ადგილობ. ჭომაში.

# ომი

პეტროგრადის ტელ. სააგენტოსაგან.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

### ცეპელინი ზუნდში.

**სტოკჰოლმი.** 21 მაისი. ბალტიის ზღვის მხრიდგან ტრელებერგზე გადაფრინდა ცეპელინი და ზუნდის სრუტეზე დიდი მანძილი გაიარა. ამის შემდეგ ის სამხრეთისკენ გაფრინდა.

### ომის ხარჯები.

**პარიზი.** 21 მაისი. ომის გამოცხადების შემდეგ პარლამენტის მიერ მიღებული კრედიტის რაოდენობა უდრის 24 მილიარდ ფრანკს. ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი 1915 წლის. დროებითი კრედიტის რაოდენობა 5600 მილიონი ფრანკია.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 21 მაისი. არასის ჩრდილოეთით გრძელდება არტილერიის ბრძოლა. ღამისგანმავლობაში მოხდა ქვეითა ჯარის ბრძოლა, განსაკუთრებით ნოტრ-დამ-დე-ლორენტის აღმოსავლეთით. აქ ცვლილება არ მომხდარა. ლაბირინტში ჩვენ წარმატება გვქონდა. 18 მაისიდგან წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი აქ უდრის 600 კაცს, მათ შორის რვა აფიცერი და 50 უნტერაფიცერია. ამას გარდა ჩვენ ვიხელთეთ ორი ტყვიის მტყორცნელი. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

### იტალიის პოლიტიკის განმარტება.

**რომი.** 21 მაისი კაპიტოლში მომხდარ მიტინგს დაესწრო რამდენიმე მინისტრი, სხვათაშორის სალანდრა და სონინო. სალანდრამ განმარტა, რომ 1914 წ. ნოემბერში სამინისტროს არ შეუცვლია თავისი მიმართულება საგარეო საქმეებში. სამინისტრო სასტიკათ კიცხავდა ავსტრიის გამოსვლას სერბიის წინააღმდეგ. სალანდრამ წაიკითხა ტელეგრამა, რომელიც 1914 წ. 12 მაისს გაუგზავნა სენჯულიანომა ჰერცოგ ავარნას. ამ ტელეგრამაში ნახსენებია, რომ მან გააფრთხილა ფლოტოვი. ამ ტელეგრამის შინაარსის მიხედვით ავსტრიას ნება არ ქონდა თავის მოკავშირის დაუკითხავათ რაიმე ნაბიჯი გადაედგა ბელგრადში. სალანდრამ დაუმატა: რადგანაც ავსტრიას აშკარათ სურდა ომი გამოეწვია, ამისთვის მან და სენჯულიანომ ფლოტოვი გააფრთხილეს, რომ იტალია არ დაეხმარება ავსტრიას რუსეთთან მოსალოდნელ ომის დროს, რადგან ეს ომი გამოწვეული იქნება თვით ავსტრიის მოქმედებით. წარსული წლის 28 აგვისტოს იტალიის მთავრობამ ბერლინსა და ვენაში პირდაპირ აღძრა საკითხი ავსტრიის პროვინციის დათმობის შესახებ და დაუმატა: იმ შემთხვევაში, თუ იტალიამ საჭირო კომპენსაცია ვერ მიიღო, სამთა კავშირი დარღვეულათ ჩაითვალოს.

### დერნბურგის დაბრუნება.

**ნიუიორკი.** 21 მაისი. ასსოსიაშედპრესის კორესპონდენტი იუწყება ვაშინგტონიდგან: ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა დაარწმუნეს შეერთებული შტატების მთავრობა, რომ ისინი ხელს არ შეუშლიან დერნბურგს გერმანიაში დაბრუნების დროს. „ევენინგპოსტის“ კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება: 30 ამ თვეს დერნბურგი ნორვეგიის გემით ნორვეგიაში მიემგზავრება.

### საბერძნეთის გემის დაღუპვა.

**ათინა.** 21 მაისი. ტრიესტში მიმავალი საბერძნეთის დატვირთული გემი სალვორენში ნაღმს წააწყდა. კომანდა გადარჩა, გარდა ორი მძიმე ავათმყოფისა.

### ჯარის რაოდენობა სირიასა და პალესტინაში.

**ათინა.** 21 მაისი. ბეირუთიდან იუწყებიან: სირიიდან 50,000 ჯარისა და არტილერიის გადაყვანის გამო შეჩერებული რკინის გზის მიმოსვლა ისევ აღდგენილია. სირიასა, პალესტინასა და ლივანში მყოფ ჯარის რაოდენობა 16000 კაცს უდრის. ამ ჯარს არ სურს სტამბოლში წასვლა და დეზერტირებათ გარბიან.

### ჰიდროაეროპლანი ნაზარეთზე.

**ათინა.** 21 მაისი. მოკავშირეთა ჰიდროჰაეროპლანი ნაზარეთზე გადაფრინდა.

### დახმარება დაზარალებულთ.

**ბათომი.** 22 მაისი. გენერალ—გუბერნატორის განკარგულებით მოსავლის მოსაწევათ ის ადგილები, რომელიც ოსმალოებმა მიატოვეს, რაიონებათ გადაეცა ოლქის ადგილობრივ მცხოვრებლებს განსაკუთრებულ პირობებში.

### ინგლისის წყალქვეშა ნავის მოქმედება.

**ლონდონი.** 21 მაისი. საადმირალო იუწყება: გუშინ დილით ბრიტანიის წყალქვეშა ნავმა მარმარილოს ზღვაში ტენდერის ყურეში ჩასძირა გერმანიის დიდი ტრანსპორტი.

### დარდანელი.

**სოლუნი.** 20 მაისი. მიტილენიდან ცნობაა, რომ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ოპერაციები ორივ მხრით დიდის სიმწვავით გრძელდება. ჯარი დიდის გმირობით იბრძვის. დანაკლისი დიდია. 18-ს მოკავშირეთა ფლოტი დარდანელის ციხეს ესროდა, რომელიც თავის მხრით უპასუხებდა.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 21 მაისი. ლაბირინტში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. საფრანგეთის ჰაეროპლანებმა იერიში მიიტანეს კრონპრინცის მთავარ სადგომზე და 178 ყუმბარა და რამდენიმე ათასი ისარი ჩამოაგდეს. ჰაეროპლანები უვნებლათ დაბრუნდენ.

### ინგლისის წყალ ქვეშა ნავი ბოსფორში.

**სოლუნი.** 21 მაისი. სტამბოლიდან იუწყებიან ინგლისის წყალქვეშა ნავის მოქმედების შესახებ. მაკრიკიოის ახლოს ნავმა ააფეთქა კონტრ-ნაღმოსანი „პელენგიდერია“, რომელიც მალე ჩაიძირა. ნაღმოსნის კომანდა გადაარჩინეს, ხავი მიუახლოვდა სარაი-ბურნუს და გერმანიის გემ „სტამბულს“ ორი ნაღმი ესროლა. ტრანსპორტებში მყოფი სალდათები გაიქცენ და მცხოვრებთა შორის შიშს ავრცელებდენ. გალატაში მაღაზიები დაიკეტა. პოლიცია მიიმალა. აფიცრებმა ძალით დააბრუნეს ჯარის კაცები ტრანსპორტებზე, პოლიციამ მრავალი ბერძენი ვაჭარი დაატუსაღა.

### წყალქვეშა ნავის ჩაძირვა.

**ათინა.** 20 მაისი. მოკავშირეთა გემებმა გულერის კონცხთან ჩასძირეს მტრის წყალქვეშა ნავი.

### ბრიტანიის ჯარის მოქმედება მესოპოტამიაში.

**ლონდონი.** 22 მაისი. ბრიტანიის ჯარმა ფლოტის დახმარებით მესოპოტამიაში იერიში მიიტანა მთებში კურნის ჩრდილოეთით, ოსმალოთა პოზიციაზე. მტრის არტილერია მალე ჩავაჩუმეთ, მტერი გაიქცა და ჩვენ ვიხელთეთ სამი ზარბაზანი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 250 კაცი. 19-ს ინგლისელები წინსვლას განაგრძობდენ. მტერმა დასტოვა თავისი ადგილები ბახანრატტასთან და გემებზე გადავიდა. გემებს ინგლისის ფლოტი დაედევნა. ინგლისელებმა ჩასძირეს ერთი გემი და ხელთ იგდეს ორი, სამი ზარბაზნით, სამხედრო სურსათით და ნაღმებით დატვირთული გემი. ვიხელთეთ აგრეთვე სამი სხვა გემი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 300 კაცი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. სულ დაგვაკლდა 20 მოკლული და დაჭრილი.

### გერმანიის მონოპლანი.

**სტოკჰოლმი.** 22 მაისი. ისტადიდან იუწყებიან, რომ გუშინ ნაშუადღევს გერმანიის მონოპლანი გამოჩნდა ისტადთან და საათ ნახევრის შემდეგ ქრისტიანიისკენ გაფრინდა. გერმანიის მთავრობამ დაადასტურა, რომ გემი „ბელრიჯი“ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა. ამის გამო გერმანიის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს და მზათ არის ზარალი აანაზღაუროს. ნორვეგია ამ წინადადებაზე დასთანხმდა.

### ტარნოვსკის გათავისუფლება.

**რომი.** 21 მაისი. ამნისტიის გამოცხადების გამო გუშინ ტყვეობიდან გაანთა-

ვისუფლეს ვადის გათავებამდე მარიამ ტარნოვსკაია.

### რუმინიის სამზადისი.

**ლონდონი.** 21 მაისი. ნიუიორკიდან „ტაიმს“-ს სწერენ, რომ რუმინიამ ბინგხემპტონის ქარხანას შეუკვეთა ნახევარი მილიონი წყვილი ჩექმები.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21 მაისი კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვისპირის გზით ჩვეულებრივი სროლაა. ოლთისის გზით ჩვენმა მზვერავმა რაზმმა დაამარცხა ოსმალოთა კოლონა სოფ. კასრიკისთან. ვანის გზით ჩილხიჩანის უღელტეხილის რაიონში ჩვენმა ჯარმა მანგელოვიდან სოფ. რაკოვას და ზახას მიაღწია. ბრძოლის შემდეგ ოსმალონი გავრეკეთ სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ.

### იტალიის ფლოტი:

**რომა.** 21 მაისი. იტალიის საზღვაო შტაბის ცნობა. ჩვენი ფლოტი მთელი დღე დალმაციის წყლებს ზვერავდა, მტერი არ გამოჩენილა, ჩვენმა ფლოტმა კუნძულ ლისაზე დაანგრია რადიოტელეგრაფი. კუნძულ კურზოვის ჩრდილოეთით დავანგრიეთ საზვერავი ადგილი.

### დარდანელი.

**ლონდონი.** 21 მაისი. ბეჰვდითი სიტყვის ბიურო იუწყება: გუშინ დარდანელის ჩრდილო ფრონტზე ბრძოლის დროს მტერი დიდათ დაზარალდა, სამხრეთის ფრონტზე ოსმალოებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ფრანგების მარჯვენა ფრთის წინაალმდეგ, ორჯერ დაიკავეს ადგილი, რომელიც ჩვენ დავიკავეთ 16 მაისს, მაგრამ ორჯერვე გავდენეთ. ფრანგების ხაზი უცვლელათ დარჩა.

**რომი.** 22 მაისი. იტალიის მთავარ შტაბისაგან ცნობა. საზღვრის მთელ პირზე ჯარის გადაყვან-გადმოყვანაა. ბრძოლა ჩვენდა სახეიროთ სწარმოებს, ალსანიშნავია ჩვენი ჯარის სახეირო, თუმცა ნელი წინსვლა, უკანასკნელ დღეებში ჩვენმა ჯარმა დაიკავა მონტენეგროს სიმაღლე და ხეობით წინ წაიწია. ავსტრიელებით ძლიერი არტილერიის დახმარებით მამაცათ იბრძვიან. კარნიაში ავსტრიელებს უშედეგოთ მოაქვთ იერიშებით ჩვენი ალპების რაზმთა წინაალმდეგ.

### ალმოსავლეთის ასპარეზი

**პეტროგრადი.** 22 მაისს მთავარ სარდლის შტაბისაგან, შავლის რაიონში უმნიშვნელო ბრძოლები მოხდა 20 და 21. ბობზე 20-ს მტერი მძიმე არტილერიით ოსოვეცს ესროდა, ნარევის ფრონტზე და ვისლის მარცხენა ნაპირზე ცვლილება არ მომხდარა, გალიციაში სანის მარცხენა ნაპირზე ვისლოვის შესართავთან ჩვენ წარმატება გვქონდა, სოფ. ნოვოსელცთან სუდნიკის დასავლეთით ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებდა. სანის მარჯვენა ნაპირზე მტერს იერიშები მოქონდა. ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. პერემიშლსა და დნესტს შუა, კუპენიციის რაიონში, ჩვენ მტერი მოვიგერიეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ. ტისმენიცას და სტრიის შუა ჩვენი ჯარი მტრის შეტევას აჩერებდა და დნესტრის გამაგრებულ ადგილებისკენ დაიხია, ღამით მტერი შეეცადა ამ ადგილებში შემოჭრას, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ. ამ ღამის განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 700 კაცი, 17 აფიცერი და რამოდენიმე ტყვიის მტყორცნელი.

**პარიზი.** სუშეს შაქრის ქარხნის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დაიკავა განმარტოებული ტრაქტირი, რომელიც მტერს გამაგრებული ქონდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 50 კაცი, ვიხელთეთ სამი ტყვიის მტყორცნელი. ლაბირინტში ისევ წინ წავიწიეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### დარდანელის გარშემო.

არჩიბალდ გერდი დარდანელთან მდგომარეობის შესახებ სწერს: „ტრიუმფისა“ და „მაჟესტიკის დაღუპვა არ შეიძლება უმნიშვნელო ფაქტად ჩაითვალოს. მას შემდეგ, რაც დარდანელთან მტრის წყალქვეშა ნავები გაჩნდენ კიდევ უნდა მოველოდეთ ზოგიერთი ხომალდის დაღუპვას. „მაჟესტიკის მსგავსი ხომალდები რომ სრულიადაც დაიღუპნენ მტრის წყალქვეშა ნივებისაგან, ამით ინგლისის ფლოტს ბევრი არა დააკლდება რა, და მაინც იბატონებს გერმანელების ფლოტზეო. ჩვენ უნდა ავიღოთ დარდანელი და ამას შევძლებთ კიდევაც.

### ხმელთა შუა ზღვა.

ავსტრიის ელჩმა სალონიკში გაავრცელა უცხოელები, რომ ხმელთა შუა ზღვაში ინგლის-საფრანგეთის გემებით მიმოსვლა საშიშოა, რადგანაც ამ გემებს ოსმალეთ-გერმანიის სუბმარინებისაგან დაღუპვა მოელითო.

### ბახტიარების მოძრაობა.

სპარსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ისფაგანიდან სერდარ მუსტაშენი გაიწვიოს და გენერალ გუბერნატორათ არა ბახტიარი დანიშნოს. ეს გარემოება ბახტიარებში უკმაყოფილებას ბადებს. ბახტიარების ხანებმა შეაგროვეს მხედრები და სასულიერო პირებთან შეთანხმებით ცდილობენ ამბოხების მოხდენას. გერმანელები განაგრძობენ შეიარაღებული ხალხის მოგროვებას. უმავთულო ტელეგრაფი მუშაობს, მიუხედავათ იმისა, რომ თეირანიდან ნაბრძანები იყო აპარატი მოეხსნათ. ტელეგრაფს გაძლიერებული რაზმი იცავს. თეირანიდან მოვიდნენ მაძებარ პოლიციის აგენტები კავერის მკვლელის აღმოსაჩენათ.

## შინაური მორიგება და გერმანიის სოც.-დემოკრატია.

I.

„ძველსა და ახალს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში გაბატონებული კლასები კიდევ დიდ ხანს დარჩებიან გამარჯვებული, თუ მათ წინააღმდეგ ძლიერი გაერთიანებული მუშათა პარტია კვლავ არ აღდგა“-ო. ამას სწერს ძველი რუსული ლიბერალური ორგანოს კორესპონდენტი, გროსმანი; მკითხველი ადვილათ მიხვდება, რომ ახლანდელ პირობებში მისი სიტყვები მხოლოთ გერმანიას თუ შეეხება.

ომამდე თუ გერმანიის მთავრობა მოყვარე იყო რუსეთის, ხოლო სოციალ-დემოკრატია კი მისი მოსისხლე მტერი, ახლა განწყობილება სულ ერთიანათ შეცვლილია: მოსისხლე მტერი ახლა მთავრობაა, სოციალ-დემოკრატია კი, როგორც ამ მთავრობის უძლიერესი მოწინააღმდეგე, მოპირდაპირე, თითქო გერმანიასთან ახლანდელ ბრძოლაში რუსეთის მოკავშირეთ უნდა გამოდიოდეს, თითქო რუსეთის გამარჯვების ხელის შემწყობი უნდა ხდებოდეს, და ამ როლს ის უკეთ შეასრულებს მაშინ, თუ არ დაიქსაქსება, არ გაითიშება და გერმანიის მთავრობაზე ერთობრივი ძალით იერიშს მიიტანს.

მაგრამ გერმანია გროსსმანის ცნობით ისედაც ყველაფრით ძლიერი „შინაური მშვიდობიანობის“ დამყარებით კიდევ უფრო გაძლიერდა ამ ომის დროს. „გერმანიაში ახლა, სწერს იგი, ყოველ ჰანგზე გაიძახიან, რომ ომიანობა—ეს „დიდებული დროა“, ის ცხოვრების უკეთესი მასწავლებელია, ვინაიდან ის ყოველგვარ საზოგადოებრივ და კლასიურ უთანხმოება—შუღლს სულ ერთიანათ აქრობსო“. „სამღვთო ერთობა“, კლასთა სოლიდარობა, „დიდებული საზოგადოებრივი ჰარმონია“, რომელსაც ამას წინათ საფრანგეთის სოციალისტ მინისტრმა, სამბამაც ვრცელი პოლიტიკური სიტყვა მიუძღვნა, გერმანიაში ყველაზე უკეთ გამტკიცდა, სხვებზე უფრო ადრე დამყარდა. იქ ახლა საზოგადო მოღვაწეთა ისეთი ჯგუფიც გამოჩნდა, რომელმაც გერმანელთა ჩვეულებისამებრ ამ მიზნით ახალი „ფერეინის“ (კავშირის) დაარსებაც მოინდომა. ამ საქმის ინიციატორები სულაც არ ხუმრობენ: ისინი დღეს სერიოზულათ აცხადებენ, რომ მათ „ფერეინს“ მიზნათ აქვს გააქროს ნემეცის ხალხში დამკვიდრებული კლასიური და პარტიული განსხვავებანი და მოსპოს ყოველგვარი საზოგადოებრივი კონტრასტები.

„ჩვენ არ ვიცით როდის და როგორ დამთავრდება ომი, ამბობენ ისინი, მაგრამ ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ მისი ბოლო დღეს აღმოცენებული „შინაური სახალხო ერთობის“ დასასრული არ გახდეს... ამიერიდან ნემეცისთვის ყველაზე უფრო ახლობელი გარდა თავისივე მოძმის ნემეცია (ვინც უნდა იყოს იგი) არავინ არ უნდა იქნეს... აი ამ პოზიციაზე უნდა დადგეს ყველა, ვისაც კი სურს, რომ მტკიცეთ დაიცვას თავისი ნაციონალური რწმენა“. ასე ლაპარაკობენ დღევანდელი გერმანიის სვებედის გამომწყვეტნი და აქეთკენ მოუწოდებენ ყველა გერმანელთ, მათ შორის გერმანიის სოციალდემოკრატიასაც.

არ იფიქროთ, რომ ხსენებული ჯგუფი უბრალო ვინმეებისგან შედგებოდეს. არა, მის მოწოდებას ხელს აწერენ: პროფესორები, დეპუტატები, სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლნი, ბანკირები, მრეწველნი, მსხვილი კაპიტალისტები და ქრისტიან სოციალისტ მუშათა კავშირის მოღვაწეებიც. ომიანობის დროის ერთობის ეს მოციქულნი მხოლოთ იმის ზრუნვაში არიან, რომ ომის შემდეგაც ძალაში დარჩეს ის „შინაური მორიგება“, ის პარტიული სოლიდარობა, რომელსაც ომის გავლენით გერმანიის მთავრობამ დღეს მიაღწია და რომლითაც იგი ახლა შეუზღუდველათ სარგებლობს.

ეს პარტიული სოლიდარობა—თანხმობა ყველაზე ნათლათ სოციალდემოკრატიასთან დამოკიდებულებაში გამოაშკარავდა. „შინაური მორიგება“ გერმანიის მთავრობამ გერმანიის უძლიერეს პარტიასთან, სოციალ-დემოკრატიასთან განწყობილების მიწესრიგებით დაიწყო.

„ომამდე გერმანიის მთავრობა სოციალდემოკრატიულ პარტიას „შინაურ მტრათ“ სთვლიდა და ამისდაგვარათ ეპყრობოდა მას. მართალია მის შესახებ ევრეთ წოდებული განსაკუთრებული კანონი გაუქმებული იყო, მაგრამ მის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებას მაინც ცდილობდენ. მაგალითათ, რკინის გზის სადგურებზე სოც.-დემოკრატიული გაზეთების ყიდვა აკრძალული იყო; სოც.-დემოკრებზე დასწრება სამხედრო პირებს აკრძალული ჰქონდათ; სამინისტრო-სავარჯიშო დარბაზებში მუშებს არ უშვებდენ; სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრს სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში არ ღებულობდენ; ვინც სოციალდემოკრატიულ აზროვნებას იზიარებდა, ჯარში აფიცრობას ვერ ღირსდებოდა და სხვა და სხვა...ს

ასე იყო ომამდე, ხოლო ომის დაწყებისთანავე ყველაფერი ეს მყისვე შეიცვალა. პარტიისადმი ძველებური სიძულვილი გაქრა და მისი ადგილი სერიოზულმა მოპყრობამ დაიჭირა: სოციალდემოკრატიული გაზეთები ახლა არა თუ ვაგზლებზე, არამედ მომქმედ ჯარშიაც თავისუფლათ ვრცელდება; მუშებს ყველა სახელმწიფო ქარხნებში თავისუფლათ ღებულობენ; სოციალდემოკრატებს ქალაქების თავებათ და თვითმართველობათა გამგეობების წევრებათ ირჩევენ და მთავრობაც ამტკიცებს მათ; პრუსიის მინისტრები და საიმპერიო სტატსსეკრეტრები ხშირი სტუმრები არიან მუშათა „თავისუფალ“ დაწესებულებების და მუშების წინამძღოლებთან მეგობრულათ საუბრობენ; სამხედრო ადმინისტრაცია განკარგულებას ახდენს დაცულ იქნას მუშათა ორგანიზაციებთან ერთხელვე დაწესებული შეღავათიანი „ტარიფი“. ხელფასის რაოდენობა და სხვა.

სამხედრო გამგეობამ ბრძანება გასცა: „სალდათის წიგნაკიდან“ ამოშალონ ყველა ის ადგილები, რომლებიც სოციალდემოკრატებს უდიერათ და შეუფერებლათ იხსენიებენ. მაგალ. შემდეგი სიტყვები და ფრაზები: „სოციალდემოკრატები შინაური მტრები და საზოგადოების ჭირი არიან“... „მათ უნდათ, რომ ყველაფერი გაანაწილონ“ და ცდილობენ რესპუბლიკა შემოიღონ“.. ყველა ამეების ნაცვლათ დღეს გაზეთებში ხშირათ ვკითხულობთ ამბებს „სოციალდემოკრატ ლეიტენანტებსა“ და „რკინის ჯვრის“ სოციალდემოკრატიულ რაინდებზე“.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, გერმანიის მთავრობა სავსებით მოურიგდა თავის შინაურ მოსისხლე მტერს სოციალდემოკრატიულ პარტიას და მასთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული მსოფლიო „ანტიგერმანული კოალაციის“ ლაჩქრობის განადგურებას ცდილობს. ამრიგათ გერმანიაშიაც ისე, როგორც ევროპის სხვა მეომარ სახელმწიფოებში, ჩამოვარდა „შინაური ზავი“ და კლასები და მათი მთავრობები მებრძოლ პროლეტარიატს დროებით მოურიგდენ. მაგრამ აქ უმთავრესათ საკითხავია და საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობს ამ მორიგებაზე თვითონ გერმანიის სოციალდემოკრატია და როგორ მოხდა, რომ მან გერმანიის მთავრობის, თავისი ისტორიული მტრის თანაგრძნობა მოიპოვა?! **დ—ელი.**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ 21 მაისს, ქუთ. მაზრის სამართველოს დარბაზში შესდგა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის კრება, რომელზედაც დაესწრო მაზრის უფროსი ბ-ნ იუსუპოვი, სახელმწიფო ქონებათა სამართველოს და სახაზინო პალატის წარმომადგენლნი, ქუთ. მაზრის მომრიგებელი შუამავალი ბ. ელიავა და სხვები.

კრებამ მსჯელობა იქონია, თუ რომელ საზოგადოებებისათვის აღმოეჩინათ დახმარება. მომრიგებელმა—შუამავალმა თითქმის ყველა საზოგადოების შესახებ ცალკე მოხსენება წაიკითხა და თხოულობდა აღმოეჩინათ მათთვის დახმარება სასურსათო თანხიდან.

კომიტეტმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა: აღძრან შუამდგომლობა, რათა გორის საზოგადოების აზნაურებს, სასულიერო წოდების პირთ და მოქალაქეებს მიეცეთ სესხი საიმპერიო თანხიდან და გლეხებს კი საგლეხო თანხიდან.

✦ დახმარება გორის საზოგადოების აცხოვრებლებს მიეცემათ პირველი მაისიდან პირველ სეკტემბრამდის.

✦ ბაღდადის და სხვა საზოგადოების შესახებ კომიტეტმა დაადგინა, რომ გამოიწერონ სიმინდი და რაც შეიძლება შეღავათიან ფასებში მიაწოდონ.

✦ როგორც ქალაქის მოურავის მიერ დეპეშიდან სჩანს, დღეს, 24 მაისს, თბილისიდან ჩამოვა ინჟინერი ქურდიანი, რომელიც ქუთაისის წყალსადენისათვის წყაროებს დაათვალიერებს.

✦ დღეს ქალაქის თეატრში დილის 12 საათზე, გაიმართება ლიტერატურული დილა. პირველად ლექციას წაიკითხავს მიხ. წულუკიძე. „ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა“. გაარჩევს ა. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, ს. აბაშელის, გ. ქუჩიშვილის, ნ. ჩხიკვაძის და სხვების ნაწერებს. II. წარმოდგენილი იქნება ვოდევილი ერთ მოქმედებათ „მშიერი გიმნაზიელი“. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ი. ნიკოლეიშვილი, გ. ტაბიძე, ცვარ-ნამი, გ. ქუჩიშვილი, ნოე ჩხიკვაძე და ვ. რუხაძე.

✦ დღეს, ქალაქის ბაღში, თეთრეულების დამმზადებელი ქალთა წრე მართავს დიდ სახალხო სეირნობას.

✦ ქალაქის გამგეობამ ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასარიგებლათ მიიღო 8,382 მან. და 36 კ. ეს ფული დანიშნულებისამებრ 23 მაისიდან რიგდება.

✦ ივანოვის ქუჩის მესახვევის მცხოვრებლებმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს რომ ეს ქუჩა გაკეთებული იქმნეს.

✦ ქუთაისის მაზრის სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარე თავადი გიკო ერისთავი აცხადებს, რომ იმ ახალგაზდა ჯარისკაცებს, რომელთაც ეხლა იწვევენ მიტანილ ჩექმებში მიეცემათ 7 მან. და 10 შაური, პერანგში 3 აბაზი, პირსახოცში 1 აბაზი და ცხვირსახოცში კი 9 კაპეიკი.

✦ 22 მაისს ღამით, ბალის ქუჩაზე წყალგაღმა უბანში, სიმონ გიორგის ძე ეფრემიძის სახლში საწამლავი დალია ახალგაზდა ქალმა მარიამ ჩიქოვანმა. ქალი ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ ვ. კორძაიამ ოქმი შეუდგინა ელო ქვიტაიშვილის და ნიკოლოზ ბერუჩევს დილით ადრე მუშებისაგან სანოვაგის ყიდვისათვის.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვნმა ოქმი შეუდგინა ყასაბს გიორგი ჯანგავაძეს ხორცის მეტფასში გაყიდვისათვის და მოვაჭრეს ჯაფარა სულთანოვს ბაზრის წესრიგის დარღვევისათვის.

✦ წელს ქართული გიმნაზიის 6-ე კლ. დაასრულა 47 მოწაფემ. აი მათი გვარები:

დავით ასათიანი, შალვა ასათიანი, ნიკოლოზ აბაშიძე, პროკოფი აბულაძე, ბაგრატ არაია, არტემ ახვლედიანი, მიხ. ბოკერია, ვლ. ბეჟალავა, აკ. ბუაძე, ს. გაბელაშვილი, გრ. გაბუნია, ირ. გვილესიანი, ს. გაჩეჩილაძე, მ. გელოვანი, შ. გოგორიშვილი, ვლ. გუგუშვილი, გალ. გიორგაძე, ნიკოლოზ დგებუაძე, ივ. ჯაფარიძე, დ. დონდუა, დ. ჯენარაძე, ტ. იოსელიანი, ივ. კვინიხიძე, ა. კალოვიანცი, მ. კვატაშიძე, ლონ. კანდელაკი, ე. ქართველიშვილი, შ. ყიფიანი, იპ კუნაძე, მ. კუხიანიძე, ვლ. ლაღიძე, ვლ. ლორთქიფანიძე, ლანდია, გრ. ნუცუბიძე, დ. მესხი, ივ. მესხი, ე. პატარიძე, გაბ. ოთხმეზური, გ. სეპერტელაძე, სიმ. წულუკიძე, ვლ. ქიქაბერიძე, დიდიმ ქემხურიძე, ტიხონ ცაგარეიშვილი და ს. ხოფერია.

### ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება.

20 მაისი.

კრება გაიხსნა საღამოს $8^1/_2$ საათზე თავ. კოტა აბაშიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარის წინადადებით კრება ფეხზე ადგომით პატივს სცემს ბანკის ყოფილი მოსამსახურის განსვენებულის გ. თოიძის ხსოვნას.

განსახილველია საპენსიო კასის ანგარიში. საპენსიო კასის [illegible] ბას კითხულობს ი. ფანცხავა.

ა. კემულარია, საპენსიო კასის თანხა უნდა ინახებოდეს საურთიერთო ბანკში და არა სხვაგან.

**ი. ფანცხავა.** ამას გვაძლევს ფინ. მინისტრი.

დაადგინეს აღიძრას სათანადო შუამდგომლობა.

კრების მდივანი კითხულობს მოსამსახურეთა ბანკის საჭიროებისათვის მიმოსვლის წესრიგის ინსტრუქციას. ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ გამგეობის უფლებას შეადგენს მოსამსახურეები ორი კვირით გააგზავნ-გამოაგზავნონ ბანკის საჭიროებისათვის. ეს მუხლი და საერთოდ მთელი ინსტრუქცია დიდ კამათს იწვევს.

ზოგი წინააღმდეგია ორი კვირის, ზოგი დღის ხარჯის სიდიდეს აქცევს ყურადღებას. ასე რომ ამ ყოვლად უმნიშვნელო საკითხმა 2 საათი მოინდომა.

**დ. ჩიკვაიძე.** მოსამსახურეთა მიმოსვლის დროს ზედ. კომიტეტისა და გამგეობის წინადადებით მათ დღის ხარჯათ უნდა ეძლიოს: ზედ. კომიტეტისა და გამგეობის წევრით თფილისში 15 მან, დანარჩენ მოსამსახურეთ—კი 7—5 მანეთი; სხვა ქალაქებსა და დაბებში პირველთ 10 მან და უკანასკნელთ 5—3 მან. ასე რომ, ვისაც ნაკლები ჯამაგირი აქვს, ნაკლებს აძლევენ. ყველას ცხოვრება თანაბარათ სჭირია და აქაც თანაბრობა უნდა დავიცვათ.

თავ. ა. გელოვანი, ი. მესხი, კ. მდივანი, და ზოგიერთები თხოულობენ 15 მან. მაგიერ დაწესდეს 10 მან. 7 მან. მაგიერ 5 მან. და 5 მ. მაგიერ 3 მანეთი.

**გ. ლეჟავა.** თავად-აზნაურობის ერთ-ერთ კრებაზე საკითხი წამოაყენეს, თავ. ანდრია ერისთავს ძალიან ცოტა ფული ეძლევა ხაზინიდან და როგორც ჩვენს წარმომადგენელს რამე უნდა დაუნიშნოთ, რომ წარმომადგენლობა უფრო სასურველათ შეასრულოსო. ერთი აზნაური კითხვას იძლევა: რამდენს აძლევენ დღეში როგორც სახ. საბჭოს წევრსო; უპასუხეს; დღეში 25 მან. აძლევენო.—ეს ბევრია თუ დღეში 25 მან. არ ყოფნის მე გიშოვნით კაცს, რომელიც 15 მანეთადაც დასთანხმდებაო. აი ეს თუ ვიფიქრეთ, ეს საქმის ინტერესს არ შეეფერება. მთელი ეს მსჯელობა ან პირადი შუღლით, ან და გაუგებრობით და უცოდინარობითაა გამოწვეული.

კრება ღებულობს ბანკის გამგეობისა და ზედ. კომიტეტის ინსტრუქციას.

### მოგების განაწილება:

მოგებიდან საზოგადო საჭიროებათა თანხაში წესდების ძალით გადადის 14,941 მან. და სამეურნეო თანხაში 1358 მანეთი.

ქართულ გიმნაზიის სასარგებლოთ გადიდება 13441 მან. და სენაკის კლასთან სამეურნეო ნაწილის გასახსნელათ მთელი სამეურნეო თანხა. ამავე საჭიროებისათვის ამ წლის ხარჯებიდან მიეცემა, ნაწილი სულ 6000 მანეთამდი. ზოგიერთი საჭირო საქმის დასაკმაყოფილებათ ზედ კომიტ. და გამგ. შეერთებულ კრების განკარგულებაში გადასდეს 15000 მანეთი, რომელიც შეიტანეს მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

**ა. კრინიცკი** თხოულობს, რომ შეერთებულმა კრებამ უსათუოდ ყურადღება მიაქციოს ჩვენ კულტურულ დაწესებულებებს და თუ არა იმდენი, რაც უწინ ეძლეოდა, ცოტაოდენი დახმარება მაინც აღმოუჩინოსო.

**დ. ხმალაძე.** მოგების განაწილების წინააღმდეგი არაფერი მაქვს. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ ანგარიში ჩემი მოქმედებისა თავად აზნაურთა გიმნაზიის საოჯახო კომიტეტში ჩემი მონაწილეობის შესახებ. შარშან თქვენ გადაწყვიტეთ: რადგან ამ გიმნაზიას ჩვენ ხარჯს ვაძლევთ, ორი ჩვენი წარმომადგენელი გაერიოს ამ გიმნაზიის შენახვისა და ხარჯები საქმეებშიო. ეს თქვენ მე და თავ. ს. ლორთქიფანიძეს დაგვაკისრეთ, მაგრამ ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია და არც მიგვიღია მონაწილეობა. მიზეზი ისაა, რომ მარშალმა თ. ნიჟარაძემ და გიმნ. გამგებ ი. ოცხელმა არ მიგვიღეს. ხოლო პირადათ მე გალანძღული გამომიშვეს. ხმალაძის მაგიერ ბატონმა ნიჟარაძემ ბანკისაგან გაგზავნილ წერილში დაწერა რაზმაძეო. მომნათლეს მეორეჯერ; დამარქვეს მეორე გვარი, რაც არ შეეძლო არც ერთ ერეტიკოსს და არავის. რაც შეეხება თვით გიმნაზი-

ის ხარჯებს, ეს ძალიან ცუდათ სწარმოებს, ყველა სასწავლებლებზე მეტი იხარჯება. მასწავლებლებსაც მთავრობისა და სხვა სასწავლებლებზე მეტი ეძლევათ. მაგალითად, უმაღლეს და საშუალო სწავლა მიღებულთ აქ მეტი ეძლევათ, ვიდრე სხვაგან. საჭიროა გადასწყვიტოთ, რომ თქვენი წარმომადგენილი უსათუოდ დაუშვან ხარჯების მოწესრიგების საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სასწავლებლის ფულს ნუ მისცემთ. აგრეთვე უთითებს 1 ივლისის კანონს, რის ძალითაც იმ დაწესებულებებს, რომელნიც კერძო სასწავლებლებს ინახავენ, უფლება ეძლევათ ამ სასწავლებლთა მართვა-გამგეობის საქმეში გაერიონ.

**თავ. ი. გელოვანი.** ძალიან ცოტა ეძლევა ჩვენ სასწავლებლებს. როცა სენაკის შკოლის გამგემ ამ შკოლის გაჭირვებული მდგომარეობა მომიყვა, თვალებიდან ცრემლები წამომივიდა. რაც შეიძლება მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ.

**ს. ხოჯევანიშვილი.** ბანკი იმისთვის არსებობს, რომ თავ.-აზნაურობის გიმნაზია შეინახოს. შარშან ამ გიმნაზიის საქმე კინაღამ ძალიან ცუდათ წავიდა მთავრობის დელეგატთან ინცინდენტის გამო გამგის ბ-ნ ოცხელის დათხოვნით, მაგრამ სიმართლემ გასჭრა და ბ. ოცხელი ისევ აღადგინეს მის თანამდებობაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ გიმნაზიის წინაშე, რის გამოც იგი დიდი მადლობის ღირსია. ამ გიმნაზიაში მოსწავლე თავად-აზნაურთა შვილებს სულ თუ არა ნახევართ სწავლის ფული მაინც უნდა ეპატიოს, რადგანაც სასწავლებელი თავ.-აზნაურთაა და არა სხვისი.

**ი. ოცხელი.** 15 წელიწადია, რაც თავად-აზნაურთა გიმნაზიის გამგე გახლავარ და ამ ხნის განმავლობაში მარტო ერთი კაცია მთელ ქუთაისის გუბერნიაში, ბატ. ხმალაძე, რომელთანაც მე პირადი განწყობილება არა მაქვს. ბატ. ხმალაძე ამბობს: შეიძლება ხარჯების შეცირებაო. რაც შესაძლებელია, ჩვენ ყველს ღონეს ვხმარობთ, შევიძლოთ. მდგომარეობა ჩვენი გიმნაზიისა აუწერელია. ის დაბრკოლება, რომელსაც ჩვენი საშვალების სიმცირისა გამო განვიცდით აუწერელია. მაგრამ მაინც ჩვენ მოვალეობას პირწმინდათა დიდი ენერგიით და ერდგულათ ვასრულებთ. შეუსრულებლობაზე საყვედურს ვერავისგან გაიგონებ.

შარშანდელ კრებაზე რაღაც არა ჩვეულებრივი გადაწყვეტილება მოხდა. გიმნაზიას განაგებს მზრუნველი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს თავად აზნაურობა. ამ კომიტეტში შედიან გუბ. მარშალი—თავმჯდომარე. თავ. მ. ფალავა—ბანკის თავმჯდომარე, ვ. ჭილაძე—ზედ. კომიტეტის წევრი, დ. მდივანი, თავ. დ. მიქელაძე—ბანკის რწმუნებულნი, ესე იგი ყველა ჩვენი ბანკის მესვეურნი. ეს სამზრუნველო კომიტეტი არის ამ გიმნაზიის ბატონ-პატრონი. იგი ადგენს გიმნაზიის ხარჯთ აღრიცხვას. არსებობს პედაგოგიურ საბჭოს მიერ არჩეული სამეურნეო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ მე გახლავარ. ეს სამეურნეო კომიტეტი არის ამსრულებელი იმისა, რასაც სამზრუნველო კომიტეტი გადასწყვეტს. თვითონ მას არავითარი უფლება და საშვალება თავისუფალი მოქმედებისა არა აქვს.

როცა შარშან კრებაზე ბ. ხმალაძემ კითხვა აღძრა—გიმნაზიის ხარჯებში მონაწილეობა მივიღოთო—მან უსათუოდ ეს სამეურნეო კომიტეტი ჩაასახელა და კრებამაც თვით ბატ. ხმალაძე ამ სამეურნეო კომიტეტში დანიშნა მე ამ გადაწყვეტილების დროს არ ვიყავი თუ საჭირო იყო ის უნდა დანიშნულიყო, და თვითონაც უნდა მიეთითებია, მზრუნველ კომიტეტში, სადაც წყდება და წესრიგდება ყოველ გვარი საქმე გიმნაზიისა. თვითონ ხმალაძესაც არ უნდა ენებებია იქნება იქ ვითომ კონტროლიორის სახით მონაწილეობა, სადაც მე თავმჯდომარეთ ვარ, როგორც ჩემთან პირადი უკმაყოფილო, და სადაც მის მონაწილეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

(შემდეგი იქნება).

## კიდევ დავუკვირდეთ.

**(პასუხად ბ-ნ „ფულითაც მდიდარს“.)**

წავიკითხე ბ-ნ „ფულითაც მდიდრის“ წერილი „სამშობლო“-ში და მართალი უნდა მოგახსენოთ, მაშინვე მომაგონდა უკვდავი ილიას არაკი „კუ და მორიელი“. არიან ქვეყანაზე და მეტადრე ჩვენს კუთხეში—ქუთაისში უსაქმო სულიერნი, რომელთაც მტრისა და მოყვრის გზობა მოთხოვნილებად გადაექცათ: თუ ვინმე არა ჰგმეს, არ მოშხამეს, ისე ვერ მოისვენებენ. ასე იქცევა ბ-ნი „ფულითაც მდიდარი: ფულითაც მდიდარი“ ჩვენ გვიკიჟინებს დაკნინებას, დაქვეითებასა და უთაურობას, რადგან ბ-ნ რ. დათეშიძის შესახებ ხმა ამოვიღეთ და ისე ვსთქვით, რაც ყოველი სინიდისიანი ადამიანი იტყოდა; ე. ი. ვსთქვათ, რომ რაჟ. დათეშიძემ მაშინ მოჰკიდა ხელი ჩვენ ბანკს, როცა იგი დასუსტებული და სასიკვდილოთ გამზადებული იყო და დათეშიძის მეცადინეობით, ერთგულობითა და საქმის ცოდნით ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება არ მოკლა, არამედ გამოაცოცხლა, განაძლიერა და ფეხზე დააყენა; აი დედა აზრი ჩვენი მცირე წერილისა. ვსთქვით ეს არა „ქათინაურების“ სურვილით, როგორც ამას ბ-ნი „ფულითაც მდიდარი“ გვწამებს, არამედ არსებული საბუთების მიხედვით, რაიცა ყველას შეუძლიან შეამოწმოს. მესსიად ბ-ნი დათეშიძე **არ დაგვისახავს და არც არასოდეს დავსახავთ.** ეს აზრი „ფულითაც მდიდარმა“ განგებ მოგვაწერა, რომ მერე თვითონვე დაერღვია; შექმნა დაბრკოლება და შემდეგ დონ-კიხოტივით ბრძოლა დაიწყო. ნუ თუ ბ-ნმა „ფულითაც მდიდარმა და, როგორც ეტყობა, სხვაფრივ—კი ღარიბმა, აქამდი ვერ გაიგო და ვერ დაინახა, რომ ჩვენს საზოგადოებაში და მეტადრე ქუთაისში ცოტანი არიან ისეთი პირნი, რომელნიც საზოგადო საქმისადმი ძლიერის სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი და შრომას არ ზოგავდნენ საზოგადო საქმისთვის! სად უცხოვრია „ფულითაც მდიდარს“, მთვარეზე ხომ არა ბრძანდებოდა? განა ნამდვილი მშრომელი ჩვენს ქვეყანას რომ ბევრი ჰყავდეს, ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ბანკია ეს თუ სხვა, ასობით და ათასობით არ უნდა გვქონდეს და ყველა ესენი აყვავებულნი, გაძლიერებულნი და სიცოცხლით სავსენი არ უნდა იყვნენ? განა მუდამ ამას არ ვჩივით პრესის საშუალებითაცა და კერძო ლაპარაკშიაც, რომ ყკელა ჩვენი ფრიად საჭირო და სასარგებლო დაწესებულება კუს ნაბიჯით მიდის და ცოცხალ-მკვდარს მიემსგავსება?

„ფულითაც მდიდარს“ აქამდის ის უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეუგნია, რომ ჩვენ მესსიებისა და გენიოსების შექმნამდის ჯერ შორსა ვართ. ჩვენს ქვეყანას სჭირია საშუალო ნიჭისა, მტკიცე ხასიათის, შრომის მოყვარე და საქმის მცოდნე კაცი, რომელიც მიბარებულ საზოგადო საქმეს კი არ მიაძინებს, არამედ გააღვიძებს, განამტკიცებს და გააფართოვებს ჩვენ საზოგადოების სასარგებლოთ და საბედნიეროთ. აი, ჩვენ ამ მხრით შევხედეთ ბ-ნ რაჟ. დათეშიძის სამსახურს.

ზემოთ ნათქვამი რომ ჩვენ უსაფუძვლო ლაყბობად არავინ ჩამოგვართვას, მოვიტანთ ცნობებს დაბეჭდილის და საზოგადოების მიერ დამტკიცებულ ანგარიშებიდან; ეს ცნობები საკმაო შუქს მოჰფენენ და ცხად ჰყოფენ რაჟ. დათეშიძის მოქმედებას. მკითხველმა განსაჯოს: ვინ არის აქ მართალი და ვინ ცრუობს. აი ეს ცნობებიც:

პირველი რიცხვი იქნება მაჩვენებელი, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ბანკი, როცა ბ-ნი დათეშიძე აირჩიეს, ხოლო მეორე, როგორშია ახლა.

| | უწინ | | ახლა | |
|---|---|---|---|---|
| საწევრო თანხა | 97070 | მ. | 125190 | მ. |
| მიმომდინარე ანგარ. | 309369 | „ | 980504 | „ |
| საზოგადო ბალანსი | 1179983 | „ | 1521173 | „ |
| ჩამოუწერელი ზარ. | 165391 | „ | 75058 | „ |
| დაუხურდავებ. ვექს. | 520671 | „ | 783293 | „ |
| სხ. ბანკ. გადაგირ. | 165391 | „ | 108555 | მ. |
| საზოგადო შემოსავალ გასავალი | 14676700 | | 44379529 | |

ვინც ამ რიცხვებს დაუკვირდება, ის ადვილად შეიტყობს, რომ ბანკის მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესებულა, საზოგადოების თანაგრძნობა და ნდობა მოუპოვებია, რაიცა ყველაზე უფრო ძვირფასია. ჩვენც წინა წერილში ეს აღვნიშნეთ და ამ წარმატების ერთ საუკეთესო მოღვაწედ ბ-ნი დათეშიძე დავასახელეთ. მიბრძანეთ ღვთის გულისათვის, რა არის აქ გადაჭარბებული და გაზვიადებული? მაგრამ როცა კაცს დანახვა არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო.

ასე იქცევა ბ-ნი „ფულითაც მდიდარი“ და რა ჩვენი ბრალია, რომ აგი ბეცი იყოს!“.

**მანთანი.**

## P. S.

ვბეჭდავთ ბ-ნ მანთანის წერილს არა მარტო იმიტომ, რომ ამას მოითხოვს სამართლიანობა, არამედ ვბეჭდავთ იმისთვისაც, რომ ჩვენ თვითონ საბუთი გვეძლევა **ერთხელ და სამუდამოთ** გამოვსთქვათ ჩვენი აზრი თანამედროვე ქართველთა მოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

როდესაც ჩვენ ჩვენს გაზეთში ადგილი დავუთმეთ წერილებს ქუთაისის საურთიერთო ბანკში მომუშავეთა შესახებ, ჩვენ ეს ალალბედათ, მოუფიქრებლად კი არ ჩავიდინეთ, არამედ ჩვენ გვინდოდა გამოგვეწვია ადგილობრივი ეგრედ წოდებული ინტელიგენცია და ერთხელ კიდევ შეგვემოწმებინა ის ჩვენი ღრმა რწმენა, რომ ჩვენ ყველანი დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ გლახაკი, ნებიერი თუ მუშა,—ქართველთა ცხოვრების უკუღმართ პირობების მეოხებით—ჯერ იმდენათ ვერ მოვმწიფებულვართ, რომ საზოგადო საქვეყნო საქმე ჩვენ თავზე მაღლა დავაყენოთ და ამა თუ იმ ქართულ დაწესებულებაში მომუშავე დავაფასოთ არა ჩვენის **ჯგუფურის**, ან პირად გულის თქმის თვალსაზრისით, არამედ დავაფასოთ იგი იმისდამიხედვით, თუ რა შრომას, რა თავგამოდებას, რა მწუხარებასა და ტანჯვას განიცდის ჩვენგან არჩეული ეს, თუ ის კაცი მინდობილი საქმის გასაუმჯობესებლად...

დიახ ჩვენ ხშირად ვქმნით ხოლმე აუტანელ პირობებს მუშაობისათვის, ჩვენ ხშირად ვამცირებთ ხოლმე ამა თუ იმ მუშაკს, როცა საიმისო არა დაუშავებია რა. თუ კი ერთხელ ავითვალისწუნეთ ესა თუ ის კაცი, თუ იგი კაცი არ მოსწონს ან ივანეს, ან პეტრეს, ან ორივეს ერთად და ამათ კიდევ თავისი **ჯგუფი** ჰყავს, ყოველ ღონესა ვხმარობთ, რომ მთელი ქვეყანა ჩვენს აზრსა და ფიქრზე დავაყენოთ.

ჩვენ ქედს ვიხრით ყოველგვარ, ასე ვსთქვათ, ჯოგურ გრძნობის წინაშე. პირდაპირობა, ვაჟკაცობა, გამბედაობა, მოქალაქეობა ჩვენ ნაკლებათა გვაქვს...

„ქართველი კაცი ერთი გმირია, **ორი კი ჭირიო!**“.—სთქვა სულმნათმა აკაკიმ და ამითი, ჩვენის აზრით, სავსებით დაახასიათა ის ისტორიული სენი, რომლითაც შეპყრობილია თანამედროვე ქართველი კაცი.

და ეს სენი, ეს ჯგუფური ჭირვეულობა ჰკლავს ჩვენში პიროვნებას, ჰკლავს ყოველგვარ თაოსნობას და კერძო კაცის, ერთეულ გმირ-ქართველის მისწრაფებას...

**ქართველობა**, როგორც ეგეთი, **ერთობა**, როგორც აუცილებელი პირობა ქვეყნის წარმატებისა, **ძმობა**, როგორც გამომხატველი კაცთა ურთიერთობისა, **სათნოება**, როგორც დამამყარებელი სამართლიანობისა და თვით **სამართლიანობა**, როგორც მაჩვენებელი კულტუროსნობისა, ჩვენთვის ხშირად მარტო სიტყვით არსებობს.

ჩვენ მონები ვართ გარემოებისა და ტყვეები ახირებულობისა! დღეს ასე ვართ, ხვალ ისე, ამყოლს ავდევთ და ჩამყოლს ჩავდევთ!...

არა გჯერათ?... აბა დაუკვირდით ჩვენ ყოველ დღიურ ცხოვრებას?

თუ რომელიმე ჯგუფს არ ეკუთვნით, თუ არ ემორჩილები ამ ჯგუფის დირექტივებს, თუ არა ხარ მონა დოგმისა და ყურმოჭრილი ყმა ყოყოჩებისა, ყოველივე შენი პირადი ღირსება ნაცარ-მტვერთ იქცევა და შენი წმინდა ზრახვანი შეგინებულნი დარჩებიან.

აბა დაუკვირდით... ვის ხელშია ქართული დაწესებულებანი? ვინა მეთაურობს მათ? ვინ არის მისი მტერი, ვინ—მოკეთე!

ყველა დაწესებულება ხელში მოუგდია ერთ რომელიმე განსაზღვრულ ჯგუფს, ამ ჯგუფს ჰყავს თავისი განსაკუთრებული კლაკიორები, თავისი განსაკუთრებული პენსიონერები, თავისი განსაკუთრებული პირის ფარეშები, თავისი განსაკუთრებული სტიპენტიანტები, თავისი განსაკუთრებული კანდიდატები კარგ ადგილებზე... და საზოგადო საქვეყნო საქმე გადაქცეულია ერთ გემრიელ „ხაჭაპურად“, რომლის შესაჭმელათ ყველა მათგანი გამზადებულა და რომლის დასაახლოვებლადაც თითოეული მათგანი ჰკარგავს ადამიანურ სულისკვეთებას.

ვინ არის მტერი ქართულ დაწესებულებებისა? ისევ რომელიმე განსაკუთრებული ჯგუფი, რომელსაც შია, სწყურია, სცივა, უნდა გაძღომა, ყველაფრის ხელში ჩაგდება, გაბატონება... ერთის სიტყვით ის ჯგუფი, რომელსაც ჰშურს სხვისი ბედნიერება, რომელსაც სძაგს სხვისი კეთილდღეობა! ამ ჯგუფსაცა ჰყავს თავისი ხელქვეითნი, თავისი მბრძანებელნი და ამ ბრძანების აღმასრულებელნი. კბილთა ღრჭენით შეჰყურებენ ესენი ცხოვრების მეჯლისზე მჯდომარეთ და მარტო იმას ჰფიქრობენ, რომ როგორმე დაიილოონ ამ მეჯლისიდან და მათ ადგილზე თვითონ მოიკალათონ. რა გამოვა აქედან, ალაჰმა უწყის, მაგრამ იმას კი დამტკიცება არა სჭირია, რომ ბატონობას თან ახლავს მონობაც. ძალ მომრეობას თანვე სდევს უსამართლობაც, ერთისაგან მეორის პიროვნების დაჩაგვრას მოსდევს ადამიანობის შებღალვა.

ეს კანონია ცხოვრებისა, ისტორიისა და ვინც ამას უარსა ჰყოფს, ატყუებს თავის თავსაც და მომავალსაც.

ვინღაა მოკეთე, ჭირისუფალი ქვეყნისა? ისინი, რომელთაც არც **ბატონობა** სურთ, არც **მონობა** და ქვეყანას, ხალხს, თანამოძმეებს შეერთებისა, სამართლიანობისა და სიკეთისაკენ მოუწოდებენ! მაგრამ განა ბევრია ჩვენში ამისთანა? განა ისმის ლა ხმა ამისთანაისა საერთო, ჯგუფურ ორომ-ტრიალში?

ჩვენ გვინდა, რომ ვეკუთვნოდეთ ამ უკანასკნელთა რიცხვს!

ჩვენ ვერ გავამართლებთ ჯგუფურ გამოსვლას იქ, სადაც ესა თუ ის ჯგუფი მხოლოდ ჯგუფურ ინტერესებს ემსახურება და საერთო საქვეყნო საქმე კი დავიწყებია.

— **მიეცათ ნიჭსა გზა ფართო თავისუფლება ღირსებას!** აი ჩვენი დევიზი, ჩვენი სიმბოლო სარწმუნოებისა და როცა ამა თუ იმ ნიჭიერ ქართველს წინ ეღობებიან და ყოველივე სალსარს მოქმედებისას, ნიჭის გამოჩენისას უხშობენ მასზე უნიჭონი, მაგრამ ამა თუ იმ ჯგუფისაგან ზურგ გამაგრებულნი—შეუძლებლად მიგვაჩნია არ აღვნიშნოთ ასეთი უსამართლობა!..

მჯობნის მჯობნი, რასაკვირველია, არდაილევა, მაგრამ ვიდრე უკეთესს კანდიდატს არ დაგვისახელებენ, ჩვენ არ შეგვიძლია დავამციროთ, ნაშრომი შევუგინოთ ისეთ კაცს, რომელიც ამის საბუთს არ გვაძლევს,—მარტო იმიტომ, რომ ეს ასე სურს—ივანეს, პეტრეს, თუ მის ჯგუფს.

— შენ სწყრები, იუპიტერო?

მაშ, მტყუანი ყოფილხარ!

აი, ჩვენი პასუხი იმათთადმი, ვინც ჩვენ პირდაპირობას გვიწუნებს და ჩვენი შედარებითი შეფასება ამა თუ იმ მუშაკისა ვისიმე მხარის დაჭერა ჰგონია.

იყავით გულწრფელ!..

## პატარა ფელეტონი.

## არჩევნები.

თბილისში გასაოცარი ამბავი მოხდა! სადგილ-მამულო ბანკის არჩევნებმა ისე ჩაიარეს, რომ არ ყოფილა ჩვეულებრივი შფოთი, ყაყანი. გაზეთებში წერა, ვისიმე „გათეთრება“ და ვისიმე „გაშავება“.

ბანკის რწმუნებულები ისეთ კარგ გუნებაზედ ადმოჩნდენ, რომ ყველამ, ვინც კი ყუთი დაიდგა, თეთრი უფრო მეტი მიიღო, ვიდრე შავი.

— როგორ დავკნინდით!

მითხრა ერთმა ძველმა კენჭოსანმა, რომელიც თავის კენჭით რისხვა იყო ხოლმე ყველა არჩევნებისა ორმოცდა ათი წლის განმავლობაში.

— ტემპერამენტი აღარა გვაქვს! მერე, იცით კი რა იყო ხოლმე უწინ არჩევნები ჩვენში?!

— რა არის მასთან რომის კონკლავი, პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში! მართლაც!..

ადვილათ წარმოსადგენია.

უწინ რომ არჩევნები ხდებოდა, მტკვარიც კი იღებდა მონაწილობას.

ხალხი ტივებით ჩამოჰყავდათ.

ტივებზედ გოდრები იდო—მწვანილით, ღვინო და საკლავი „პარტიული“ იყო.

გაჩერდებოდა ტივი თბილისის სატივეზედ და ვერ მოახერხებდა ამომრჩეველი გადმოხტომას ტივიდან—„დროშკა“ მზათ იყო.

მიჰყავდათ.

რასაკვირველია კენჭოსანმა არ იცოდა საით?

თბილისის მტვრიან ქუჩებზედ.

ჰკითხეთ ვაცხვებს ახლანდელ „პუშკინის სკვერში“—რამდენ აზნაურს სძინებია მათ ჩრდილქვეშ, რამდენ ამომრჩეველს უჭამია იქ პური.

სოფლიდან იმდენი თავად-აზნაურობა აწვებოდა არჩევნებს, რომ მათთვის ბინა არ იყო, ამიტომ მთავარი კვარტირა ამ „პუშკინის სკვერში“ იყო.

იქ ეძინათ, იქა სჭამდნენ, იქ აწყობდნენ მოქმედების გეგმას.

თავად-აზნაურობის სახლი იქვე ორ ნაბიჯზედ იყო. გავარდებოდა არსენალზედ ზარბაზანი და ამომრჩეველთა ხროვა თეატრის დარბაზში მიდიოდა.

და რა არ ხდებოდა იქ.

რასაკვირველია იქ ამბობდნენ ბრწყინვალე სიტყვებს. მაშინ ლაპარაკობდნენ ივანე მაჩაბელი, ნიკ. ორბელიანი, გრუზინსკი, მიხ. მაჩაბელი.

— და თვით ილია ჭავჭ[illegible]

დანარჩენები? რამდენი აღარ [illegible] ცხალი. რამდენი განი[illegible] ტკბილითა ალაგსა მას მწვანილოვანსა. და რამდენია მათგან კიდევ ცოცხალი!

ცოცხლებსაც და მკვდრებსაც საუკუნო სახსენებელი და დიდება!

დიდება და საუკუნო ხსენება, რადგანაც მათ იცოდნენ ლაპარაკი ამ ხროვასთან, ხროვასთან, რომელმაც არც კი იცოდა, სად ჩაედო შავი კენჭი და სად თეთრი.

დიდ ტალანტებთან ერთად რამდენი იყო სოფლის ჩერჩეტა მცხოვრები,—რომელსაც მამასახლისის არჩევნების მეტი არა ენახა რა.

მაგრამ რა ამბით მოდიოდა კრებაზედ ჭავჭავაძის, ან მაჩაბლის „ბედის“ გადასაწყვეტათ.

— გასაშავებლათ!

სიტყვა „ძირს“ მაშინ არ იყო, იგი დაიბადა მაშინ, როცა რევოლიუციის ქარიშხალმა საქართველო მაღლა ასწია. როცა, მართლა, საჭირო იყო ძირს დაწევა.

თანამედროვე ელეგანტობა მაშინ ნაკლებ იყო. ამიტომ ლაპარაკიც სადათ იცოდენ.

ჰყვიროდნენ მოჩეტებულათ:—„გააგდეთ.“ ხანდახან კი—„გაეთრიოს“. სამი ათას კაციდან, რომელიც იკრიბებოდა მაშინდელ კრებებზე ლაპარაკობდა მხოლოდ ოცი.

დანარჩენები?.

— „პუშკინის სკვერში“ სადილობდნენ.

და შველოდნენ—ხანდახან „მიწევ-მოწევით“. იყო დუელებიც—მაგრამ კრების მაღალ წრეებში. სოფლის უპრეტენზიო თავად-აზნაურობა ფინანსიურ საკითხებს უბრალო „მიწევ-მოწევით“ სწყვეტდა. რამდენი ბრუნდებოდა სოფლათ მომდურებული მეზობლისგან ერთმანეთს აღარც კი ელაპარაკებოდნენ. რიგდებოდნენ მხოლოდ ახალ წელს, ან აღდგომას.

მაშინდელ კურიოზებზედ აუარებელი ანექდოტი აღმოცენდა.

ერთს არჩევნებზედ ერთ ჯგუფს ათას რვაასი კენჭოსანი ჰყავდა.

და ათას რვაასში ათას შვიდასი მაინც ამბობდა:

— ქვევრში ღვინო ბევრი ჩამისხავს, ორმოში პური ბევრი ჩამიყრია, მაგრამ ყუთში ჯერ კენჭი არ ჩამიგდია.

მეთაურებმა რეპეტიცია გამართეს.

— ვსთქვათ, რომ ბატონი მ—შვილი ჩვენი მოწინააღმდეგეა და დამფასებლათ სურს გავიდეს. მაშინ ჩვენ მივდივართ მის ყუთთან და აი ასე შავ ყუთში კენჭს ვაძლევთ.

ათას რვაასმა კაცმა ეგზამენი დაიჭირა. ყველამ შავი კენჭი მისცა.

მაგრამ როცა მეორე დღეს ბ. მ—შვილმა მართლა დაიდგა ყუთი დამფასებლათ, მან მიიღო ყველა შავი კენჭი თავის მოწინააღმდეგისა და კიდევ ათას შვიდასი..

— რა ჰქენით! ჰყვიროდნენ დარცხვენილი ლიდერები.

დარბაისელი აზნაურები უპასუხებდნენ:

— როგორც გვასწავლეთ, ისე მოვიქეცით!

— ხორციელებო, ის ხომ ჩვენი კაცი იყო!.

— რასა ბრძანებთ... სადილობის დროს კია...

გაგონდება ეს კურიოზები ჩვენის ძველებისა და ფიქრობ:

— მშვიდობით, მშვიდობით ძველო საქართველო, რამდენი იყო შენში მხიარული სიმარტივე და გულუბრყვილო უკოდინარობა, რამდენი იყო უწყინარი სიყეყეჩე და მუდამ მოგვიანე სიდინჯე.

— რასა ბრძანებთ!... სადილათ ვისთან ბრძანდებით დღეს?...

აი რით უპასუხებდენ ყველიფერზედ ძველები.

ახლანდელ საქართველოში ეს არასოდეს არ მოხდება.

კენჭის გულისთვის სადილათ აღარ ჰპატიჟობენ და არც კენჭოსნები შეცდებიან შავსა და თეთრში, მოვლენ და შეგნებულათ ჩაგირახუნებენ შავ კენჭს. თეთრს მოგცემენ და არც კი მოგილოცავენ.

მაშინ ვერის ბაღებისკენ გაგიტაცებდნენ, ორთაჭალაში თევზს თვითონ ამოიყვანდნენ მტკვრიდან და შუბლს კიტრის ნაფცქვენით გაგიგრილებდნენ.

ეხლა?

ჩასდე კენჭი და შენი ხარჯითვე წადი, თუ გსურს დროს გატარება „ლიტერატურულ“ საღამოზედ. შენც გაიგებ იქ რაშია სიმშვენიერე პოეზიისა და კუპლეტებისა „ვაი-ვუის ხმაზედ.

**ფარსმან-ფარუხი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველ ებრაელების პროტესტი.

გაზეთ „სამშობლო"-ს მე-80 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ „ფულითაცმდიდარი"-ს წერილი. ეხება-რა ბ-ნ რ. დათეშიძის მოღვაწეობას ავტორი სხვათა შორის ამბობს: „წარსულ კრებაზე, როდესაც ერთმა ქართველმა ვაჭარმა წინადადება შეიტანა, რომ გადახვეწილ, აოხრებულ და უპატრონოთ მიტოვებულ მშიერ-მწყურვალ აჭარლებისათვის 500 მანეთი გადაედვათ, ერთმა ებრაელმა, რასაკვირველია ბ-ნი დათეშიძის „კლიენტმა", პირ დაპირ წამოიძახა: „ვინ არიან აჭარლები, რადროს აჭარლებიაო".

ქართველ ებრაელის ასეთმა უგუნურმა საქციელმა, ჩვენში, ქართველ ებრაელებში დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია, და შეგვიძლია იმ ებრაელ ვაჭრის სიტყვები აეხსნათ მხოლოთ იმით, რომ ხსენებულ ებრაელს აჭარლებზე და მათ გაჭირვებულ მდგომარეობაზე ისეთივე წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, როგორი წარმოდგენაც ველურსა აქვს ხელოვნების უმშვენიერეს ნაწარმოებზე.

ჩვენ ვგმობთ უვიცი ებრაელის ასეთ საქციელს და საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ბრიყულათ და დაუფიქრებლათ წამოსროლილი სიტყვები („ვინ არიან აჭარლები, რა დროს აჭარლებია") არ არის მთელი ქართველი ებრაელობის აზრი აჭარლების უნუგეშო მდგომარეობაზე. ჩვენ, პირიქით, სხვაზე არა ნაკლებ თანავუგრძნობთ მათ და ყოველთვის მზათა ვართ არ ჩამოვრჩეთ ჩვენ ქართველ თანამოძმე ქრისტიანებს მათ დახმარების საქმეში.

ქართველნი ებრაელნი ძველთაგან-ძველათ ვცდილობდით (და ყოველთვისაც ვეცდებით) გავყვეთ ჩვენს ისტორიულს გზას და მთელ ქართველ ერთან ერთად შევქმნათ განუყოფელი მთლიანი ორგანიზმი და ქართველებთანვე გავიზიაროთ როგორც ჭირი, ისე ლხინი.

კიდევ ვაქცევთ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას იმაზე, რომ ნუ მიიღებენ უვიც ვაჭარ ებრაელის სიტყვეს და მის ბოდვას ჩვენს საერთო აზრათ. ჩვენ, ქართველი ებრაელები, პროტესტსა და ჩვენ აღშფოთებას ვუცხადებთ იმ ვაჭრს.

**ქართველი ებრაელი.**

ქუთაისი. 18 მაისი 1915 წელი.

# ფოთის ამბები.

19 მაისს, ქ-ბატონ ნოტია ლოლუას პროფესიონარულ სკოლაში მოხდა კურს დასასრულებელ მოსწავლე ქალთა გამოცდა. გამოცდას დაესწრნენ: ყ-დ უსამღვდელლოესი ეპისკოპოზი ლეონიდი, ფოთის ქალაქის თავის მოადგილე ბატ. გალ. ტყემალაძე, კათედრის დეკანოზი კლ. ჩანტურაია და სხ. გამოცდამ ჩინებულად ჩაიარა. კურსი დაასრულა 1[illegible] ქალმა. გამოცდის გათავების შემდეგ ყ-დ უსამღვდელლოესმა დაურიგა თითოეულ მათგანს თითო ჯვარი და თითო სახარება და მასთან სარევიზიო წიგნში ჩაწერა სკოლის გამგე და მსახურთათვის ფ—დ სანუგეშო სიტყვები:

„19 მაისს, 1915 წ. დავესწარი ხელოსნობის სკოლის მოწაფე ქალების გამოცდას და ახალგაზრდა მუშაკებმა თვისი მაგალითით მომაგონეს მე უკვდავი ანდერძი დიდის მოციქულისა: „ვისაც არა უნდეს შრომა, იგი ნურცა სჭამს". ოხ, ნეტავი ჩემი საყვარელი სამშობლო მოიფინებოდეს მსგავსი სკოლების სქელი ქსელით. მაშინ ჩვენ ყველანი ვიქნებით მაძღარნი და მშვენივრად ჩაცმულნი. ღმერთმან განაძლიეროს და აღორძინოს, ყ—დ სიმპატიური სასწავლებელი ჩვენი მხრის ღარიბ მცხოვრებთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ".

ქალაქის თავის მოადგილე ბ. ტყემალაძემ ჩასწერა შემდეგი: „19 მაისი 1915 წ. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, რომ გულითადი მადლობა გამოვუცხადო ქ-ბატონ სკოლის უფროსს იმ კმაყოფილებისათვის, რომელიც მივიღე ამ სკოლის მოსწავლე ქალების გამოცდის გამო. სულითა და გულით ვუსურვებ სრულსა და ყოველ მხრივ წარმატებას ამ მშვენიერსა და ფდ-სასარგებლო დაწყებას".

დიდად სასიამოვნოა, მკითხველო, როცა სკოლა კერძო პირის ინიციატივით და ენერგიით შექმნილი, თავისი დაუღალავი და წრფელი შრომით ასეთ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ღირსეულ მნახველებზე. ვუსურვოთ ჩვენც ჩვენის მხრით სკოლის გამგესა და იმის თანამსახურებს მხნეობა და გამარჯვება.

**ხაკო უჩარდია.**

# სოფლის სურათები.

მოვიარე სენაკის მაზრის საუკეთესო სოფლები. სოფლებიდან ქალაქში ჩამოსულნი სიმშილობის საშინელ სურათებს მიხატავდენ, მაგრამ არ მჯეროდა... ხოლო რაც ჩემი თვალით ვნახე—სხვების ნათქვამს გადააჭარბა. სოფლელების უმეტესობას სიმინდი იანვარში გათავებია. ამის გამო უმეტესად ყანები დაუთესავია: გაიხედავ მინდვრებში ერთი გლეხი სიმინდს თოხნის, მეორე—დასათესად ემზადება, მესამე—გულხელ დაწყობილი თვალცრემლიანი დაჰყურებს ჯერ კიდევ შარშანდელი სიმინდის ღეროებით მოფენილ თავის მრჩენელ მიწის ნაჭერს. გლეხების ასეთი განსხვავება ადვილი ასახსნელია: პირველს—სიმინდი საკმარისად ჰქონდა და დროზე თესლიც გაიტანა; მეორემ—დიდი წვალებით მოახერხა სათესლე სიმინდის შოვნა, ცოტათი დააგვიანდა, მაგრამ მაინც მოახერხა კურთხეული თესლის მიწის გულში მიბარება, ხოლო მესამეს—არავითარი საშველი არ დაადგა: ცოლშვილი სიმშილით ეხოცება, შინაური საქონელ-ფრინველი დღიური ლუკმისთვის უკვე მიყიდ მოყიდა და ისეთს მდგომარეობაში იმყოფება, რომ ორი ქცევაც ვერ მოუხნავს. დაჰყურებს შავს მიწას თვალცრემლიანი... წრეულს რომ თავი გაიტანოს, გაისად უფრო მწარე უბედურება მოელის...

დიდი თუ პატარა, გლეხი თუ აზნაური მწარე ტანჯვას დაუმონებია... მუდამ მხიარულ, მკვირცხლსა და ლაღს მეგრელს სახე დანაოჭებია, წელში მოხრილა და გატეხილა. სოფლის წისქვილში ორმოცამდე გლეხი მოგროვებულა და ხმაჩაწყვეტით ჩურჩულობენ... შევდივარ, სალამს ვაძლევ... „რა ისმის, ბატონო, ომის"? მეკითხება ხანში შესული გლეხი. მეც ავუხსენი მდგომარეობა. „იცით, ბატონო, განაგრძობს. გლეხი: ახალ მოსავლამდის ჩვენ ვერ მივაღწევთ: ამაზე მეტი ტანჯვა რა იქნება... თუ ჩემი სიტყვა არ გჯერათ, დაიარეთ ეზოები და ნახავთ, რომ მთელს სოფელში ერთი ძაღლიც არ მოიპოვება,—იმათ ტანჯვას ვერ გაუძლეთ და დავხოცეთ... სიმშილი მწარეა, გრძნობა პირუტყვსაც აქვს... გაგვიძახონ მაინც ომში: ან სულ გავწყდებით, ან ბოლო მოეღება ასეთს უბედურებას..." სულგანაბული გავშორდი ბედშავ გლეხებს და ბინისკენ გავეშურე...

ღამის თორმეტი საათი იქნება: დღისით ნახული საშინელება ძილის ნებას არ მაძლევს... „არ გძინავს, ბ-ნო გ. ?"—მესმის ხმა. ავდექი, კარები გავაღე. შემოდის მეზობელი გლეხი თომა. ეს გლეხი ჩემს სოფელში მხნე, გამრჯე და დოვლათიან ადამიანად ითვლებოდა. შევხედე: ერთ დროს ყოჩაღი თომა სასოწარკვეთილებას მისცემია... რაღაცას თქმა უნდა, მაგრამ სირცხვილით ვერ ბედავს. მივეშველე: რაზე შეწუხებულხარ, ჩემო თომა? —„ბედნიერი არადროს არ ვყოფილვარ, მაგრამ ნამუსი არ შემირცხვენია...! დღეს ამასაც ვესწრები... ჩემი თედო წისქვილში შეპარულა და ერთი კოთხო (7 გირ.) ფქვილი მოუპარავს... როგორ მოვკლა 12 წლის შვილი? მიშველე რამე ღვთის გულისთვისთვის... რაც მქონდა ყველაფერი გავყიდე"... გავაღვიძე მოხუცებული ქვრივი დედა, წავედით სასიმინდეში... როდესაც თომამ წასვლისას ხელი ჩამომართვა, ხელზე ერთი მდუღარე ცრემლი დამეცა...

წავედი მეორე სოფელში. იქ კიდევ უარესი მდგომარეობა ვნახე, ოთხმოცი წლის გლეხი ოქროპირა რ. თურმე ოთხჯერ ჩამოხსნეს თოკიდან. საწყალმა შვილისშვილების უბედურებას ვერ გაუძლო და თავის ჩამოხრჩობა მოიწადინა... გულმა არ მომითმინა, ჩემს ნათესავს ერთი ფუთი სიმინდი გამოვართვი და ბიჭის ხელით წავუღე ამ საწყალს მოხუცს. დატანჯულმა გლეხმა სიტყვები ვერ იპოვა... დაიჩოქა და ცისკენ ხელები ააპყრო...

აი, რა მდგომარეობას განიცდიან სამეგრელოს სოფლები! რასაც ვამბობ—ეს ყველაფერი სინამდვილეა; გადაჭარბებით ვის რა სარგებლობა მიეცამა? საშინელი გაჭირვება ადგია სოფლს... ავამუშაოთ სოფლის ინტელიგენცია, ყოველგვარად შევავიწროვოთ ჩვენი თავი და მივეშველოთ ასეთს უბედურებაში ჩვენს გლეხებს, თორემ ჩვენსა და მათ შორის სამუდამოდ ჩატყდება ხიდი. საჭირო დროს ისინიც ზურგს შეგვაქცევენ... ალმაცერად შეგვხედავენ!...

**გ. ა-ნი.**

# დაბა-სოფელი.

**ს. გალმა-ჩუნეში.** მესამე წელიწადია, რაც აქ სამინისტრო სკოლა არსებობს და დღემდი მისთვის საკუთარი შენობა ვერ შეუძენიათ.

სკოლის დაარსებისთანვე არჩეულმა კომისიამ, რომელსაც უნდა შეეგროვებია აქაურ მკვიდრთა შორის შენობის აგებისათვის საჭირო ფული, შარშანდელ მოუსავლობისა და თანამედროვე ომისაგან გამოწვეული კრიზისის გამო, ვერ შესძლო ამ მიზნის განხორციელება!

შენობის აგება 1500 მანეთამდი არის ნაანგარიშევი და, რაღა თქმა უნდა, დღევანდელ მძიმე პირობებში, როდესაც მცხოვრებთა უმრავლესობას სიმინდი საყიდლათ გახდომია, არ მოხერხდება ამოდენა თანხის შეგროვება.

ჯერ-ჯერობით ნაქირავებ შენობაშია ის მოთავსებული, რომელიც ძალიან შეღავათიან პირობებში აქვს დათმობილი აქაურ მცხოვრებს თავად მიშა ლორქიფანიძეს.

სკოლის მოთხოვნილება ძალიან დიდია. სიღარიბის მიუხედავათ ყველას აქვს სურვილი სწავლა-განათლების მიღებისა, რასაც ამოწმებს ის ფაქტი, რომ მოწაფეთა რიცხვი უკვე ასამდი ავიდა.

რადგანაც ამდენ მოწაფეებს ერთი მასწავლებელი სამსახურს ვერ გაუწევდა, წასული წლის სეკტემბრიდან მეორე მასწავლებელიც მოიწვიეს.

ეს უკანასკნელი აქაური აზნაურის ქალიშვილია, დასრულებული აქვს რვა კლასი ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში და ყურადღებას იქცევს თავის პატიოსნებით, მომზადებითა და შრომის მოყვარეობით.

ამ წლის თებერვლამდი უჯამაგიროთ მსახურობდა ის და მხოლოდ თებერვლიდან, დროებით დაუნიშნეს 25 მანეთი თვეში.

მისმა მასწავლებლობამ მიიზიდა ბევრი მოწაფე ქალები, მათ რიცხვში მოზრდილებიც, რომელნიც დიდის ენერგიით ეკიდებიან ხელსაქნარისა და სხვა საგნების შესწავლას.

პატივცემული მასწავლებელი ძალიან მონდომებულია მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი რიცხვი აქაურ გლეხთა ქალიშვილებისა და გადაადგმევიოს მათ პირველი ნაბიჯი განათლებისაკენ.

დიდი მადლობის ღირსია ის ასეთი მზრუნველობისა და თავის მოვალეობის სინდისიერათ შესრულებისათვის, მაგრამ კეთილისათვის განა ყველა კეთილით უხდის!..

ვიღაც საცოდავ ქმნილებას გაუგზავნია აქიდან სახალხო შკოლების ინსპეკტორის ბ-ნ ერმანისათვის უსახელო დაბეზღება, რომელშიაც დებს რა ბრალს მასწავლებელს მაში, რომ ის, რადგანაც აქაურია, არ ცხოვრობს შკოლის შენობაში, თხოვს ინსპეკტორს არ დაამტკიცოს იგი მასწავლებლათ და მის მაგიერ გამოგზავნოს სხვა ვინმე.

„უცხო ქვეყნიდან მოსული მასწავლებელი იცხოვრებს შკოლის შენობაში და უფრო ადევნებს მას თვალყურსო", სწერს საცოდავი დამბეზღებელი.

ლოღიკაც ასეთი უნდა!

- რა საჭიროა, რომ მასწავლებელი მაინდამაინც შკოლის შენობაში ცხოვრობდეს! შკოლის მოვლა დარაჯის საქმეა და არა მასწავლებლის.

მაგრამ, ვაი თუ სხვა მუცლის ტკივილი ქონდეს დამბეზღებელს.

ბ-ნი ერმანი საკმაოთ იცნობს ამ მასწავლებელს და არა გვგონია, რომ ასეთმა უსაფუძვლო დაბეზღებამ შეუცვალოს აზრი მასზე.

ასეთი საქციელით ისევ თავის თავს ასამარცხებს საზიზღარი დამბეზღებელი, თორემ სხვას ვერაფერს დააკლებს.

ორას კომლ მცხოვრებთაგან რომ ერთი იყოს წინააღმდეგი და იგიც პირადი ინტერესების გამო, სრულიადაც არ არის საკმარისი, რომ პატივცემული მასწავლებელი არ იქნეს დამტკიცებული მთავრობისაგან.

**დაჩაგრული.**

—

**ტყიბული.** (ქუთ. მაზ.). ხსენებულ სოფელში 200 კომლამდი მცხოვრები არის. სწავლა-განათლების მხრით ეს სოფელი ჩამორჩენილია. სამი წელიწადია მას შემდეგ, რაც აქ დაარსეს ორ-კლასიანი—სამინისტრო სასწავლებელი და სწავლაც უკვე დაიწყო. ხსენებული სკოლა მოთავსებულია დაქირავებულ სახლებში, რომელშიც საზოგადოება წლიურად იხდის 250 მან. სოფელმა სახლის საამშენებლო პირები აირჩია და დაავალა სოფლის ხარჯით სკოლისთვის საჭირო სახლის აგება.

ზოგიერთი ქარაფშუტა ვაჟბატონი ამხედრდა და ცდილობენ ამ კეთილი საქმის დაშლას, მადლობის მაგიერ-ლანძღვაგინებით უმასპინძლდებიან სკოლის მოღვაწეებს, მაგრამ ვნახოთ სანამდის მივლენ ამ უვიცობით ეს ვაჟბატონები. აქ ბაზარში არსებობს უფასო—წიგნსაცავ-სამკ. ამ ბოლო დროს სამკითხველო მიუნდვიათ ვიღაც ორ „გიმნაზისტისთვის" და აქ ორიოდე ჟურნალ-გაზეთის გარდა სხვა და სხვა წიგნის წაკითხვა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ესენი დაკეტილ „შკაფებშია" მომწყვდეული და შკაფების გასაღები ამ „გიმნაზისტებს" აქვთ ჯიბეში. თუ იმდენი დრო გაქვთ, რომ უცადოთ ამ გიმნაზისტების მობრძანებას, შეიძლება მაშინ გაღირსონ წიგნი, თორემ ხელცარიელი უნდა დაბრუნდეთ შინ. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სამკითხველოს გამგეობამ, თორემ ამით ბევრი მკითხველი ბრკოლდება.

ბაზარში ზოგიერთ ვაჟბატონის სავაჭროში კარტ ნარდის თამაშია გაჩაღებული. „ილიას—სამიკიტნოს" კარები სულ ღია არის და ხშირად გვესმის იქიდან „მიდი ხუთი"-ს ძახილი. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ.

ჩარჩებმა აქაც აიშვეს თავი: ერთი თვის წინათ სიმინდი იყიდეს, რომელიც დაუჯდათ 13.—13 კაპ. და ყიდიან 7 აბაზათ. ამ ფასზე ადგილობრივი ბოქაულიც დაეთანხმა, მხოლოდ აუკრძალა მეტ ფასში გაყიდვა და ბაზრის დეპ. დაავალა თვალყურის დევნება სიმინდის გაყიდვაზე. მიუხედავათ ამისა, სიმინდს დღეს 9 აბაზათ ჰყიდიან. საჭიროა დეპუტატებმა ვაჭრების თავგასულობა აღკვეთონ და მეტი ყურადღება მიაქციონ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას.

**მეთვალყურე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ საზოგადოების [illegible] რებლად დაავალა გამგეობის წევრთ, ეგ. ნიკოლაძის ასულს და ელენე ხედთუღლიშვილის ასულს, ჩამოევლოთ მაღაზიები და სახელოსნოები და მიემართათ ვაჭრებისათვის, ნოქრებისათვის და ხელოსნებისათვის წინადადებით, ჩაწერილიყვნენ ამ საზოგადოების წევრათ. 20 მაისს მათ ჩამოიარეს რამდენიმე მაღაზია. ჩაეწერა შემდეგი ოცდაათი წევრი (30 წ.):

ჩიღინჯაროვი პეტრე, ჩიღინჯაროვი იოსებ (სოსოვარდიძე), თურქია რაჟდენ, შანგირაძე იასონ, გრიგუროვი ვასილ, მელია კალისტრატე, მირაქოვი იაკობ, შავერზოვი ანტონ, ცირგილაძე პოლიკარპე, კვანტალიანი ელიზბარ, ბეთანოვი კონსტანტინე, ჟუჟუნაძე ბარნაბა, მენაბდე აკაკი, ახვლედიანი ანტონ, ჯიქიძე აკაკი, ჩრეკაძე ბენიამინე, ჭავჭანიძე კირილე, მანგალაძე გიორგი, შალამბერიძე არსენ, გვეტაძე იოსებ, დემურია მიხეილ, რაფაელოვი ნიკოლოზ, რაფაელოვი პეტრე, ბეგოვი ლევან, ბასილაძე ტრიფონ, კაპანაძე ივანე, გოკიელოვი პეტრე, გაბუნია ვასილ ჯოჯუა ბიჭია, ცინცაძე გიორგი.

თუმცა სახალხო უნივერსიტეტის საწევრო წლიური გადასახადი არის მხოლოდ ერთი [მან.] და ეს საზოგადოება მართავს ლექციებს, კურსებს ნოქრებისათვის და ხელოსნებისათვის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ზოგმა ვაჭარმა და ნოქარმა უარი განაცხადა საზოგადოების წევრათ ჩაწერაზედ, რითაც მეტად გააკვირვა გამგეობის წევრები. შეგნებულ ვაჭართა და ნოქართაგან საჭიროა მეტი საზოგადო საქმისადმი თანაგრძნობა,

ზოგმა ნოქარმა: ბ. გ. ასათიანმა, გ. სვანიძემ, ილ. წიქარიძემ და ი. ბებეშკორეიშვილმა იკისრა საზოგადოების დახმარება საწევრო გადასახადის შეკრებაში. **გამგეობა.**

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.


**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

24 მაისიდან თფილისში გამოვა ნაცვლად ჟურნალ „კლდისა" ყოველ-დღიური გაზეთი

**„საქართველო"**

ფასი წლის დამლევამდე 5 მან. პირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სიმოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც უმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს განსაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობ ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდე. თ. 215